ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #116

ქ. მცხეთა

9 ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის ნოდარ კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ეთერ კომახიძე შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1. ბალახის საკრეჭი მანქანის ნაწილების (CPV 16311000) შესყიდვა.

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2015 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 30 (ოცდაათი) ლარს.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

41 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 მიაწოდოს მაღალი ხარისხის საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მისაწოდებელი საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2015 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახური
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ს/კ 436036246

დირექტორი: ნ.კაპანაძე

„მიმწოდებელი"

ი/მ ეთერ კომახიძე
ს/კ 61001067817

ა/ა GE38BG0000000792038300
ბანკი: საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22

IE "ETER KOMAKHIDZE"